



საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№89/10

2017 წელი, 18 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. დამტკიცდეს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და მასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის მიერ განახლებული „ღია პარლამენტის“ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის 16 მაისის №57/13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ღია პარლამენტის“ 2017-2018 წლების სამუშაო გეგმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე



საქართველოს პარლამენტის წევრი

14692-3-9-3-201709141737



N 14692

14/09/2017

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტს

ბატონო ირაკლი, მოგახსენებთ, რომ ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედა საპარლამენტო საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა შეიმუშავეს „ღია პარლამენტის“ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2017 წლის 16 მაისს, N57/13.

სამოქმედო გეგმაში საჭიროა შემდეგი ცვლილებების შეტანა:

- ღია მმართველობა პარტნიორობის წესების შესაბამისად მოხდეს სამოქმედო გეგმის გაყოფა და ახალი ვადების განსაზღვრა;
- განისაზღვროს თითოეული ვალდებულების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG).

გიგზავნით ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და მასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის მიერ განახლებულ 2017 წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტის ბიურომ.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი შეიტანოთ ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

პატივისცემით,

ღია და გამჭვირვალე მმართველობის

მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე

ირინე ფრუიძე

სარჩევი

1. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა	3
1.1 პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა.....	3
1.2 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.....	4
1.3 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენისა და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით.....	5
1.4 კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება.....	6
1.5 სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.....	7
1.6 ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება...9	
1.7 პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურების გამარტივება.....	10
1.8 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება..12	
2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	13
2.1 პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება.....	13
2.2 კანონპროექტის განხილვისას პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე.....	18
2.3 მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე.....	19
2.4 საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეოჩემის მომზადება და გამოქვეყნება.....	20
2.5 პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთ ან ორწლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში.....	22
3. პარლამენტის ანგარიშვალდებულება	23
3.1 საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია.....	23
3.2 პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება.....	24
3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება.....	26
4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა	27

4.1 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა.....	27
4.2 საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“) მონიტორინგის სისტემის შემუშავება.....	28
4.3 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება	30
4.4 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება.....	31
4.5 კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა.....	32
4.6 მთავრობის მიერ ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი.....	34
5. ტექნოლოგიები და ინოვაცია.....	35
5.1 საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის, დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება)	35
5.2 პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურისა და36	36

1. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

1.1 პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		<p>პეტიცია არის პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ ან საერთო პრობლემიდან გამომდინარე საკითხებს. არსებული ოფიციალური მონაცემებით, 2012 წლის 20 დეკემბრიდან - 2016 წლის 12 ივლისამდე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მხოლოდ 19 პეტიცია დარეგისტრირდა. პარლამენტისადმი პეტიციით ონლაინმიმართვის პლატფორმები დანერგილი აქვს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობას. ეს ფორმა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობას და საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას. ამდენად, აუცილებელია პეტიციების განხილვის წესისა და ფორმატის დახვეწა საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.</p>			
მთავარი მიზანი		საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე შეიქმნას პეტიციების წარდგენის, მათზე თვალყურის მიდევნებისა და რეაგირების ელექტრონული მექანიზმი.			
OGP გამოწვევა, რომელსაც უპასუხებს ვალდებულება		სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება			
შესაბამისობა OGP-ის პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	✓
მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომელსაც უპასუხებს ვალდებულება		მე-16 მიზანი (მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ეფექტური, ანგარიშვალდებულებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება).			
ვალდებულების განხორციელების ეტაპები			დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
პეტიციების განხილვის პროცესის დახვეწის მიზნით რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება			06/2017	12/2017	
პლატფორმის ტექნიკური დავალების შემუშავება			06/2017	12/2017	